



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

16 თებერვალი 2026



N 21/1905

სს “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას”

მის: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი,
კახეთის გზატკეცილი, N21

ელ. ფოსტა: dzotsenidze@idrostudi.it
public@gogc.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2026 წლის 13 თებერვლის N2107 წერილი, რომელიც ეხება სს “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის” ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მდ. ფარავანზე „ფარავანი 1“ ჰესის და „ფარავანი 2“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტოს 2025 წლის 16 დეკემბრის N21/12908 და N21/12907 წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გახანგრძლივების საკითხს.

გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი N21/12908 და N21/12907 წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გაგრძელდეს 15 დღის ვადით.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/1905-21-2-202602161758>

